პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 228 (5258) 17 1974 წ. ნოემბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფეხბურთი

### ბუშიხ...

„დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დილომში შედგა დუბლიორთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩი: „დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა). გაიმარჯვეს ოდესელებმა — 1:0. თბილისელმა ლ. ნოდიამ პენალტი ვერ გამოიყენა.

### მიემგზავრებიან უცხოეთში

საფეხბურთო სეზონის დასასრულს საბჭოთა ფეხბურთელები ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად მიემგზავრებიან უცხოეთში.

ოდესის „ჩერნომორეცი" 18 ნოემბერს გაემგზავრება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ხოლო შემდეგ — სუდანში. ალმა-ათის „ქაირათი" ეწვევა ლაოსს, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები კი — სინგაპურსა და ინდონეზიას.

გათვალისწინებულია დონეცკის „შახტიორის" ტურნე შვეიცარიაში, მინსკის დინამოელები ჩავლენ ტანზანიასა და ზამბიაში. ერევნის „არარატი" ნოემბრის დასასრულს ჩავა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოსკოვის სპარტაკელები გვინეაში გამოვლენ, მოსკოვის ტორპედოელები კი — ინგლისში.

• •

### ფინალისტები

15 ნოემბერს ფრუნზესა და გროზნოში დამთავრდა II ლიგის გუნდების ნახევარფინალური ტურნირები.

ფრუნზეში ბოლო ტურის მატჩები ასე დამთავრდა: ადგილობრივმა „ალგამ" დაამარცხა ლენინგრადის „დინამო" — 2:0, ხოლო ყაზანის „რუბინმა" — კრივოი როგის „კრივბასი" — 1:0. ბათუმის დინამოელები ბლაგოვეშჩენსკის „ამურთან" შეხვედრაში დამარცხდნენ — 2:4.

გროზნოში გორის „დილამ" გადამწყვეტი თამაში წააგო ნიკოლაევის „სუდოსტროიტელთან" — 0:2. „იანგიერმა" ასეთივე ანგარიშით მოუგო გორკის „ვოლგას". გროზნოს „თერგისა" და კამჩატკის პეტროპავლოვსკის „ვულკანის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ფინალში გავიდნენ: ფრუნზეს ჯგუფიდან — „რუბინი", „ალგა"; გროზნოს ჯგუფიდან — „თერგი", „იანგიერი"; ხარკოვის ჯგუფიდან — „მეტალისტი" (ხარკოვი), „შახტიორი" (ყარაგანდა). ამ გუნდების ტურნირი 20-30 ნოემბერს გაიმართება სოჭში.

## ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

# კარპოვი — კორჩნოი 3:2 (17 ყაიმი)

მოსკოვი, 15 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში შედგა მატჩის XXII პარტია, რომელშიც თეთრებით ა. კარპოვი თამაშობდა. ახალგაზრდა პრეტენდენტმა თავისი პირველი სვლით ალბათ გააოცა გულშემატკივრები: თამაში მეფის ფრთის მხედრით დაიწყო. ვ. კორჩნოიმ აირჩია ლაზიერის გამბიტისთვის დამახასიათებელი თამაშის ქარგა. საბოლოოდ პარტიაში კატალონიური დასაწყისის ერთ-ერთი ვარიანტი გათამაშდა.

კარპოვს მეტოქის წინაშე ძნელი ამოცანები არ დაუსახავს. ამიტომ კორჩნოიმ ადვილად გაათანაბრა თამაში და ინიციატივისთვისაც კი დაიწყო ბრძოლა.

კორჩნოი ბევრს ფიქრობდა თითოეულ სვლაზე, მაგრამ უპირატესობას ვერ მიაღწია: კარპოვი ზუსტი თამაშით თანაბარ პოზიციას ინარჩუნებდა.

როცა კორჩნოის 10 სვლისთვის 9 წუთი დარჩა, მან მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, რაც სავსებით ბუნებრივი გადაწყვეტილება იყო. კარპოვმა თავი აარიდა თამაშის გართულებას და წინადადება მიიღო.

XXIII პარტია 18 ნოემბერს გათამაშდება. თეთრებით კორჩნოი ითამაშებს.

# დასანანია

ვაღალი, ქერა ჭაბუკია. მოშვებული წვერი 22 წლის დიდოსტატს ასაკს არ მატებს. მის ცისფერ თვალებში გამუდმებით მოუსვენარი ნაპერწკლები ციმციმებს. შაშის თამაშის დროს კი დარბაისელი და მშვიდია. სწორედ ამიტომ არავის გაჰკვირვებია, რომ ტონი სეიბრანდსი საერთაშორისო შაშში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ჰოლანდიაში შაშს პოპულარობის მხრივ მხოლოდ ფეხბურთი და ჭადრაკი უწევს მეტოქეობას. შაშს საშუალო სკოლებშიც კი ასწავლიან. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ჰოლანდია საერთაშორისო (ასუჯრიანი) შაშის სამშობლოა.

1956 წლამდე მსოფლიო ჩემპიონებიც მხოლოდ ჰოლანდიელები იყვნენ. მერე ეს უმაღლესი ტიტული საბჭოთა დიდოსტატმა ი. კუპერმანმა, ვ. შჩოგოლევმა და ა. ანდრეიკომ მოიპოვეს. მხოლოდ ამ ორიოდე წლის წინათ დაუბრუნა სეიბრანდსმა ჩემპიონობა მშობლიურ ქვეყანას.

ყველა ფიქრობდა, რომ ნიჭიერი დიდოსტატი ხელს შეუწყობდა შაშის შემდგომ განვითარებას თავისი მოღვაწეობით. ამიტომ საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდა თბილისში პრეტენდენტთა ტურნირის დამთავრებას, ახალი პრეტენდენტის გამოვლენას. და აი, პრეტენდენტი ცნობილია: კიეველი დიდოსტატი ი. კუპერმანი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი.

გავიგეთ ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონმა უარი თქვა ტიტულის დაცვაზე. ეს ცნობა მეხივით გავარდა.

ერთ დროს სეიბრანდსი ამბობდა, მე ფიშერი ვარ შაშშიო. ნუთუ ყველაფერში ჭადრაკის გვირგვინოსანს ჰბაძავს? აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თამაშზე ფიშერის უარის არგუმენტები კარგადაა ცნობილი. მისი მოთხოვნები პრეტენდენტთა ორთაბრძოლასთან არის დაკავშირებული. სეიბრანდსმა კი განაცხადა მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლა დიდ სიამოვნებას აღარ მანიჭებსო.

დასანანი იქნება, თუ ჰოლანდიელი ჩემპიონი აზრს არ შეიცვლის. თუმცა, ჯერ კიდევ არის დრო: კუპერმანთან მატჩი 1975 წელს უნდა გაიმართოს. მანამდე, გაზაფხულზე, შაშის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი იმსჯელებს ამ საკითხზე და თავის სიტყვასაც იტყვის.

ნ. იმესაშვილი.

## კაკლის ნაჭუჭები

### მისაბაძი თაოსნობა

ხობში, ნინოშვილის ქუჩის დასაწყისში, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა მ. ხურციამ და მ. სელიამ თავიანთი სახსრებით მარტივი ტიპის ხელბურთისა და კალათბურთის მოედნები მოაწყვეს, შემოღობეს და ირგვლივ 300 ძირი ხე დარგეს.

მოედანზე უკვე ჩატარდა პირველი შეჯიბრება: დაბის პირველობა ქუჩის გუნდებს შორის მინი-ფეხბურთში. ბრძოლაში 9 გუნდი ჩაება. პირველობა ორჯონიკიძის ქუჩის გუნდმა მოიპოვა.

ზ. სერგია.
(ჩვენი კორ.).

ხობი.



# მიზანი — საპრიზო ადგილი

ნოემბერი სსრ კავშირის მოჭიდავეთა კალენდარში თასების გათამაშების თვეა. სეზონის ამ ბოლო გუნდურ შეჯიბრებებში მონაწილეობენ თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეები, ძიუდოისტები, სამბისტები. 20 ნოემბერს ჟდანოვში დაიწყება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირი, რომელშიც გამოვლენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები.

შარშან ანალოგიურ ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა II საპრიზო ადგილი დაიკავეს — წინ მხოლოდ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები გაუშვეს. წლეულს საქართველოს ნაკრების წინაშე არანაკლებ პასუხსაგები ამოცანაა დასახული: შეინარჩუნონ ადგილი პრიზიორთა სამეულში და შეძლებისდაგვარად გააუმჯობესონ შარშანდელი შედეგი. მაგრამ ამ ამოცანის შესრულება მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მათ შორის უმთავრესია რუსეთის მოჭიდავეთა კანონიერი სურვილი, რომ წლეულსაც შეინარჩუნონ გარდამავალი პრიზი.

წლევანდელ სეზონში საქართველოს მოჭიდავეთა მაჩვენებლები საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში არც ისე მნიშვნელოვანია. ივნისში მადრიდში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში მხოლოდ ლევან თედიაშვილმა გამოიჩინა თავი. იგი კონტინენტის ჩემპიონი გახდა. მანვე ერთი თვის შემდეგ ბრწყინვალედ გაიმარჯვა უფის საკავშირო ჩემპიონატში და ბოლოს, სექტემბერში, სტამბულში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მიიღეს ახალგაზრდა ათლეტებმა ა. ხოხაშვილმა და მ. ცნობილაძემ. ეს არის და ეს.

მაგრამ გუნდური ასპარეზობა (სსრ კავშირის თასის გათამაშება კი, როგორც მოგახსენეთ, გუნდური ტურნირია) თავისი სპეციფიკით საგრძნობლად განსხვავდება პირადი ჩემპიონატებისგან. გუნდურში მთავარი მნიშვნელობა მოჭიდავეთა კოლექტიურ თვისებებს ეძლევა. ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის — აი, კოლექტიური ბრძოლის ძირითადი პრინციპი, რომლითაც საქართველოს მოჭიდავეები მუდამ გამორჩეული იყვნენ (გაიხსენეთ სხვადასხვა საკავშირო გუნდური ტურნირი).

თასის წლევანდელი სტარტისთვის ჩვენი მოჭიდავეები გულმოდგინედ ემზადებიან. ამ სამზადისს მთელი გულისყურით ემსახურება გამოცდილ მწვრთნელთა ჯგუფი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ნ. ხოხაშვილის ხელმძღვანელობით.

ნ. ახვლედიანი.

• • •

სურათზე: ნ. ხოხაშვილი მორიგ მეცადინეობას ატარებს ნაკრები გუნდის წევრებთან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ჩვენი იმედი





თბილისის 54-ე სკოლის X კლასის მოსწავლე მარინე გოდერძიშვილი დიდი ხანი როდია, რაც მშვილდოსნობაში ვარჯიშობს, მაგრამ უკვე საკმაო წარმატებებს მიაღწია. ამ წარმატებებიდან მშვილდოსანი გოგონასთვის ყველაზე საპატიო სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებაა. მარინე ახლა საქართველოს ნაკრების წევრია და საკავშირო სარბიელზე უკვე რამდენიმეჯერ სცადა ძალა.

დავით წოწკოლაურიც თბილისელია: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის I კურსზე სწავლობს. ჭაბუკი უროს ტყორცნის ტექნიკას ო. ოდიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლება. ალმა-ათის საკავშირო სპარტაკიადა წოწკოლაურისთვის მოსწავლეთა შორის ბოლო შეჯიბრება იყო. აქ მან II ადგილი დაიკავა — 60,72 მ. მანამდე კი ყაზახეთის ღია პირველობაში 6-კილოგრამიანი ურო 68,06 მეტრზე ტყორცნა და სსრ კავშირის ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა.

• • •

სურათებზე: მ. გოდერძიშვილი „ცეცხლის ხაზზე"; დ. წოწკოლაური თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ვარჯიშის დროს.

ო. გელაშვილის ტექსტი და ფოტოები.

# ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# საერთო საზრუნავი

თბილისის VI სპარტაკიადის პროგრამაში 28 სახეობა იყო შეტანილი. 17 სახეობაში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა, შედეგები შეჯამდა, გამოვლინდნენ ლიდერები კომპლექსურ ჩათვლაში. ჩვენმა თანამშრომელმა ო. გელაშვილმა ინახულა დედაქალაქის სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე შ. ახვლედიანი და სთხოვა მას გაზეთის მკითხველებისთვის ეამბნა იმ წარმატებების შესახებ, რასაც თბილისელმა სპორტსმენებმა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში მიაღწიეს, ეთქვა, რა ხარვეზები გამოვლინდა ჩატარებულ შეჯიბრებებში, როგორია მათი გამოსწორების გზები.

ვაქვეყნებთ ამ ინტერვიუს.

— თბილისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყეს, ღონისძიებებიც დასახეს და დედაქალაქის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ბევრ სახეობაში დამაკმაყოფილებელი შედეგებიც მოიპოვეს, მაგრამ საერთო სურათი სახარბიელო როდია. მართალია, თბილისელებს საქართველოს სპარტაკიადაში გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ ჩვენი მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება მეტი და ხარისხიანი შევსება მივცეთ რესპუბლიკის ნაკრებს, რომელმაც საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის უნდა იბრძოლოს.

საქართველოს ნაკრების კანდიდატთა დიდ უმრავლესობას თბილისელები შეადგენენ. მაშასადამე, რაოდენობის თვალსაზრისით საგანგაშო არაფერია. მაგრამ როგორია სპორტსმენთა მომზადების დონე? ბევრ სახეობაში მეტისმეტად დაბალი. არადა, საბჭოთა სპორტის მომავალ დიდ ფორუმში თუნდაც ერთ სახეობაში წარუმატებლობა საერთო შედეგებზე ძალიან უარყოფითად იმოქმედებს.

● განსაკუთრებით ცუდად რომელ სახეობებში გვაქვს საქმე?

— შესაძლოა არაერთხელ ნათქვამის გამეორება მომიხდეს, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ საკავშირო სპარტაკიადაში ყველაზე მეტი ქულის მოხვეჭა მძლეოსნებს, ტანმოვარჯიშეებსა და მოცურავეებს შეუძლიათ. ამიტომაც ეს სახეობები აგერ უკვე მერამდენე წელია საკავშირო მასშტაბით საერთო ყურადღების ცენტრში დგას — ყველა სწორედ ამ სახეობების წინ წამოწევას ცდილობს, თბილისში კი რატომღაც პირიქით ხდება. ტანვარჯიშზე ჯერჯერობით არაფერს ვიტყვი, ვინაიდან ამ სახეობაში სპარტაკიადის პროგრამით ასპარეზობა ჯერ არ გამართულა, მძლეოსნობამ და ცურვამ კი საგანგაშო ფაქტების მოწმე გაგვხადა. საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში ამ სახეობებში სპორტის ოსტატებით დაკომპლექტებული გუნდები დაიშვებიან, თბილისის სპარტაკიადაში კი ვერც მძლეოსნობაში, ვერც ცურვაში ვერც ერთმა გამარჯვებულმა სპორტის ოსტატის ნორმატივი ვერ შეასრულა. უფრო მეტსაც ვიტყვი: მძლეოსნებმა თბილისის პირველობაში 858-ის ნაცვლად 129 ქულა ძლივს მოაგროვეს.

ქალაქის სპარტაკიადის პროგრამის ყველა სახეობაში მონაწილენი საასპარეზოდ შესაბამისი ფედერაციების წარდგინების მიხედვით დაიშვებოდნენ (ფედერაციები ამ სიებს წლევანდელი შედეგების მიხედვით ადგენდნენ). მაგალითად, მძლეოსნობის ყველა სახეობაში ცალ-ცალკე და აფროსნობაში სტარტზე 12-12 სპორტსმენი უნდა გამოსულიყო, ძალოსნობის ყველა წონითს კატეგორიაში — 16-16, ცურვაში — 24-24 და ა. შ. მაგრამ, მაგალითად, 100 მეტრზე რბენაში თორმეტი კი არა, ორიოდე მძლეოსანიც არ შეგროვდა. ასე იყო ცურვაში, ტრეკზე და საგზატკეცილო ველორბოლაში, მშვილდოსნობასა და სხვა სახეობებში.

● რას გვეტყვით უკვე დამთავრებულ შეჯიბრებათა ტექნიკურ შედეგებზე?

— სასტენდო და ტყვიის სროლაში გამარჯვებულთა მაჩვენებლებს ვერ დავემდურებით: ზოგიერთ სხვა სახეობაშიც არის რაღაც საიმედო. მაგალითად, მშვილდოსნობაში ქალთა ცუდი გუნდი არ გვყავს. სატრეკო ველორბოლაშიც შეიძლება რაღაცას მივაღწიოთ, მაგრამ, თუ ისევ მძლეოსნობას, ცურვას, ფარიკაობას, საგზატკეცილო ველორბოლას დავუბრუნდებით, თბილისის სპარტაკიადამ საიმედო ვერაფერი გვიჩვენა. მართალია, შეჯიბრებებში საქართველოს ნაკრების ბევრი კანდიდატი სარბიელზე არ გამოცხადდა, რამაც ასპარეზობისადმი ინტერესი შეანელა, მაგრამ სხვების მაჩვენებლები ამჯერად საგანგაშოა. ვფიქრობთ, დაბალი შედეგები შეჯიბრებათა ცუდი ორგანიზაციის ბრალიც იყო. ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის წინასწარი ღონისძიების მიუხედავად, სათანადოდ დაკომპლექტებული მსაჯთა კოლეგიები არც ერთ შეჯიბრებას არ ჰყოლია, ზოგიერთ სახეობაში კი თხუთმეტისა და ოცის მაგიერ სამი ან ხუთი კაცი მუშაობდა. კვალიფიციური მსაჯები აკლდათ მძლეოსნებს, მოცურავეებს, მესტენდურეებს... მშვილდოსნობაში შეჯიბრება კი საერთოდ მთავარი მსაჯის გარეშე ჩატარდა.

ყველა სპორტსაზოგადოებისა და უწყების კოლექტივებს ჩათვლა თითქმის არც ერთ სახეობაში არ მიუღიათ. ტრეკზე ველორბოლაში ჩათვლა ვერ მიიღეს „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" სპორტსმენებმა, საგზატკეცილო ველორბოლაში — „დინამომ", „ლოკომოტივმა" და „შრომითმა რეზერვებმა". წინასწარი განაცხადების წარმოდგენის მიუხედავად, სპორტსმენები არ გამოიყვანეს: აკადემიურ ნიჩბოსნობაში — „სპარტაკმა", მძლეოსნობაში — „შრომითმა რეზერვებმა", ცურვაში — „ბურევესტნიკმა", „სპარტაკმა", „ლოკომოტივმა", ხელბურთში — „ლოკომოტივმა", თანამედროვე ხუთჭიდსა და ძალოსნობაში — ასკ-მ, სასტენდო სროლასა და ჭადრაკში — „ბურევესტნიკმა", ფარიკაობაში — „განთიადმა", ასკ-მ, „ლოკომოტივმა". ამის გამო მთელ რიგ სახეობებში სარბიელზე მხოლოდ 3-3 კოლექტივის წარმომადგენლები გამოვიდნენ. პირდაპირ საოცარია, რატომ არ მიიღეს მონაწილეობა მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში სტუდენტებმა და ცურვაში „ლოკომოტივის" სპორტსმენებმა, როცა რესპუბლიკის ყველა საუკეთესო მოჭადრაკე უმაღლეს სასწავლებლებშია თავმოყრილი, „ლოკომოტივს" კი თბილისში ყველაზე კარგი საცურაო აუზი და ცურვის სპეციალური სპორტსკოლა აქვს.

ვფიქრობთ, ჩამოთვლილი ფაქტები ნათლად მოწმობს, თუ რა გულგრილად მოეკიდნენ სპორტსაზოგადოებათა საბჭოები დედაქალაქის სპარტაკიადას.

● როგორ გგონიათ, რა მიზეზით არ გამოიყვანეს გუნდები ცალკეულ სახეობებში საზოგადოებებმა?

— სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ხელმძღვანელები ბოლო წლებში ყველა სახეობის განვითარებისთვის რომ აღარ ზრუნავენ, ეს ფაქტია, ხოლო ის სახეობები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს დანერგილი, მივიწყებულია. აბა, რით შეიძლება გავამართლოთ ის ამბავი, რომ „ბურევესტნიკში" ცურვა არ არის დანერგილი? მართალია, საშველი არ დაადგა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზის მშენებლობის დამთავრებას, მაგრამ ნუთუ თბილისის ბაზებზე არ შეიძლებოდა სტუდენტ სპორტსმენთა მომზადება? ან სად გაქრა დინამოელ ველოსიპედისტთა ნაქები ტრადიციები?

ახლა სპორტსაზოგადოებათა საბჭოები თავის გამართლებას იმით ცდილობენ, რომ სპარტაკიადის კალენდარი ბოლო მომენტში რამდენიმეჯერ შეიცვალა. შესაძლოა მიზეზი ესეც იყო. მე ვფიქრობ, ამით სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს მართლაც მივეცით თავიანთი ნაკლის მიჩქმალვის საშუალება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოები უწინდებურად გულმოდგინედ აღარ მუშაობენ.

● მაინც, რა ცვლილებები მოხდა კალენდარში და რა იყო ამის მიზეზი?

— როცა სპარტაკიადის დებულება შედგა, სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს კალენდრის თავდაპირველი ვარიანტი განსახილველად და წინადადებების წარმოსადგენად მაისში გავუგზავნეთ, ივნისში კი საბოლოო ვადები დავადგინეთ ისე, რომ ქალაქის სპარტაკიადა ოქტომბრის მეორე ნახევარში ჩაგვეტარებინა. ამის შესახებ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის შესაბამის [illegible] და ივლისში [illegible].

2 ოქტომბერს სპარტაკიადის მონაწილე ყველა საზოგადოებისა და უწყების ხელმძღვანელები შევკრიბეთ და სპარტაკიადის კალენდარში უკანასკნელი შესწორებები შევიტანეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკურ კომიტეტში სწორედ სპარტაკიადის დაწყების წინ წამოაყენეს ახალი ვარიანტები, რამაც ბევრ სახეობაში შეჯიბრებათა დადგენილი ვადების შეცვლა მოითხოვა. მაგალითად, მძლეოსანთა ასპარეზობა მთელი სამი კვირით გადმოვწიეთ წინ, სასტენდო სროლაში — ერთი კვირით. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით, ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში თბილისის სპარტაკიადისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ღონისძიებათა ვადები ერთმანეთს დაემთხვა, რის გამოც გვაიძულეს ჩვენი ტურნირები ნოემბერ-დეკემბერში გადაგვეტანა. წყალბურთში, თანამედროვე ხუთჭიდში, ცხენოსნობაში პარალელური შეჯიბრებები გავმართეთ. სწორედ კალენდრის არევის გამო იყო, რომ კარგა ხნით ადრე მომზადებული სპარტაკიადის აფიშების გამოკვრა და პროგრამების დარიგება ვერ მოვახერხეთ.

● რა მოგვცა უკვე დამთავრებულმა შეჯიბრებებმა ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების თვალსაზრისით?

— თბილისის სპარტაკიადის განვლილ შეჯიბრებებს უკვალოდ არ ჩაუვლია: შეივსო სპორტის ოსტატთა რიგები, გამოვლინდნენ პერსპექტიული სპორტსმენები, ნათლად გამოჩნდა გუნდების მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები, რომელთა დასაძლევადაც ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ. იყო სხვა ხარვეზებიც, მაგალითად, სპორტსმენთა მიერ წესრიგის დარღვევის, ხულიგნობის, შედეგების ყალბად ჩაწერის შემთხვევები. ყველაფერი ეს არ მოხდებოდა, სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, პასუხისმგებელი მუშაკები შეჯიბრებებს რომ ესწრებოდნენ, თავიანთს სპორტსმენებს ყურადღებას რომ აქცევდნენ.

სპარტაკიადის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ წინ არის და, თუ შეჯიბრებათა მაღალ დონეზე ჩატარებისთვის საერთო ძალით არ ვიზრუნეთ, ვერც სპორტსაზოგადოებათა მუშაობას შევამოწმებთ სათანადოდ, ვერც რეზერვებს გამოვავლენთ, ეს ყოველივე კი საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში იჩენს თავს.

● როგორ მიმდინარეობს 17 სახეობაში ასპარეზობის შემდეგ გუნდური ბრძოლები?

— დაწინაურდა „დინამოს" კოლექტივი, რომელსაც 548,5 ქულა აქვს. II ადგილზეა „განთიადის" ნაკრები — 480. შემდეგ მოდიან: „ბურევესტნიკი" — 451,5, ასკ — 330,5, „სპარტაკი" — 168, „ლოკომოტივი" — 117,5 და „შრომითი რეზერვები" — 89. როგორც ხედავთ, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ძალების შეფარდება მეტად უთანაბროა. ასეთი განსხვავება არ იქნებოდა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები გუნდების დაკომპლექტებას უფრო გულმოდგინედ რომ მოჰკიდებოდნენ.

„ლელო" ინტერვიუ

# ცხრა სახეობაში ასპარეზობის შემდეგ

აჭარის VI სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება: 14 სახეობიდან ცხრაში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა.

ტყვიის მსროლელთა ასპარეზობაში გუნდური I ადგილი ბათუმელებმა მოიპოვეს. II და III ადგილებზე ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების გუნდები გავიდნენ.

წოლელა და სტანდარტზე მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი გ. პლენიოვი (ხელვაჩაური). მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში გაიმარჯვა ბათუმელმა ნ. სტრელცოვმა.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრების გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ბათუმელებმა. II ადგილზე არიან ხელვაჩაურის რაიონის სპორტსმენები, III ადგილი კი ხულოს რაიონის წარმომადგენლებს ხვდათ. ეს ხულოელ ფალავანთა დიდი წარმატებაა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. ბაგრატიონი (ხელვაჩაური), დ. საულიდი (ბათუმი), ზ. წერეთელი (ხელვაჩაური), ა. მეხეშიძე (ხულო), ვ. ორმოცაძე, ტ. გურგენიძე (ორივე — ბათუმი), რ. კაკაბაძე (ხელვაჩაური), დ. ქინქლაძე, შ. ბერიძე და ი. მელქონიანი (ყველა — ბათუმი).

სამბისტთა შეჯიბრებაც ბათუმელებმა მოიგეს. II ადგილზე გავიდა ხელვაჩაურის რაიონის ნაკრები, III — ქობულეთის რაიონის კოლექტივი.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ანგელოვმა, ტ. გიგუაშვილმა (ორივე — ბათუმი), მ. აბულაძემ (ხულო), გ. მატიუშინმა, გ. ქორიძემ (ორივე — ბათუმი), თ. გოგიტიძემ (ქობულეთი), თ. ზენაიშვილმა (ბათუმი), ზ. ჩავლეიშვილმა, ა. ბაკურიძემ (ორივე — ხელვაჩაური), რ. ფრანგიშვილმა (ბათუმი).

ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ქობულეთში გაიმართა, გუნდური I ადგილი მასპინძლებმა მოიგეს. II ადგილზე გავიდნენ ბათუმელები, III — ქედის რაიონის სპორტსმენები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ი. არძენაძე (ქედა), ნ. ბარამიძე (ბათუმი), ი. სკრილნიკოვი (ქობულეთი), ნ. ქედიაშვილი, ს. ჩელებაძე, ლ. გოგოჭური (სამივე — ბათუმი), ნ. ბეჟანიძე, ნ. გორგილაძე (ორივე — ქობულეთი).

მძლეოსნები „დინამოს" სტადიონზე ასპარეზობდნენ. სამდღიანი ბრძოლების შემდეგ გაიმარჯვეს ბათუმელებმა — 172 ქულა. II ადგილზეა ქობულეთის გუნდი — 61, III — ხელვაჩაურის ნაკრები — 29.

მძლეოსნებმა ვერ გაგვახარეს. ნაჩვენებია მხოლოდ ერთი პირველი თანრიგის (სიმაღლეზე ხტომაში ქობულეთელმა სპორტის ოსტატმა შ. ართმელაძემ 193 სმ დაძლია), 7 მეორე და 25 მესამე თანრიგის შედეგი.

ცხრა სახეობის შემდეგ 214 ქულით აჭარის VI სპარტაკიადის სატურნირო ცხრილის სათავეში დგანან ბათუმელი სპორტსმენები. შემდეგ მოდიან ქობულეთის (113), ხელვაჩაურის (52), ქედის (41,5), შუახევის (38) და ხულოს რაიონების (21) გუნდები.

სპარტაკიადა გრძელდება.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ახალი წიგნები

# სპორტის მოყვარულთათვის

„1974 წლის მაისის დამლევს მოსკოვიდან დონის როსტოვში მივფრინავდი და ვფიქრობდი, რომ სულ რამდენიმე საათი მაშორებდა ტანვარჯიშის ულამაზეს დღესასწაულს — ქვეყნის პირველობას... ჩვენს ქვეყანაში ტანვარჯიშს ასი ათასობით ადამიანი მისდევს. ჩვენი რეზერვები ამოუწურავია, მაგრამ ტალანტების სიმრავლის გამო თვითდამშვიდების უფლება მაინც არა გვაქვს.

XX ოლიმპიური თამაშების შემდეგ ორი წელი გავიდა... როცა გუნდი პირველ ადგილზე გადის, მწვრთნელებს იმედი აქვთ, რომ მისი შემადგენლობა კარგა ხნის მანძილზე სტაბილიზებული იქნება, თუმცა ესმით, რომ სპორტის ლოგიკა, ცხოვრების ლოგიკა ამ ოცნების განხორციელების საშუალებას არ იძლევა. და, თუმცა ძალიან მახარებს სვეტლანა გროზდოვას და სხვა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეების ლიუბა ბოგდანოვას, ლიუდმილა სავინას, გალინა პერშინცევას წარმატება, მაინც მინდა ვიცოდე, როგორია დღეს ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონების პოზიციები".

ეს სტრიქონები ამოღებულია ერთი პატარა მოთხრობიდან — „რა ჰქვია ამ გოგონას?"

მოთხრობის ავტორია ცხრა ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ტანვარჯიშში ლარისა ლატინინა, ამჟამად სსრ კავშირის ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. წიგნი გამოუშვა გამომცემლობა „პრავდამ".

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ მოამზადა ტრადიციული სპორტული კალენდარი — „სპორტი-1975". რედაქტორ-შემდგენელია ს. იგნატოვა, კონსულტანტი — სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. როგულსკი. თავისი წინამორბედებისგან „სპორტი-1975" გამოირჩევა ლამაზი, ლურჯ-წითელი ყდით, რომელზეც ფეხბურთის თასია გამოსახული, ფერადი დინამიკური ფოტოსურათების სიმრავლით.

რუბრიკები: „სპორტის ისტორიიდან", „ოსტატის ტრიბუნა", „ჩემპიონთა აღმზრდელები", „ოსტატთა რჩევა-დარიგებანი", „ფიზკულტურული კოლექტივები" და სხვა დაწერილია ოლიმპიური ჩემპიონების — საცხენოსნო სპორტის ოსტატ ე. პეტუშკოვას, მოჭიდავეების ა. მედვედისა და ა. ივანიცკის, ჰოკეისტ ა. რაგულინის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელების, ჟურნალისტების მიერ.

„ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა:

**„სპორტი — მშვიდობის ელჩი"** (შემდგენელი ვ. კოვალი). წიგნი გვიამბობს მშვიდობისთვის ბრძოლაში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობაზე, მათს საერთაშორისო კავშირებზე, საბჭოთა სპორტის ინტერნაციონალურ ხასიათზე.

**„ჩვენ 60 მილიონი ვართ"**. ეს არის მდიდრულად ილუსტრირებული ჟურნალი. რუსულ და ინგლისურ ენებზე მოცემულია ლაკონიური ახსნა-განმარტებანი ლამაზი ფოტოსურათებისა, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ ფიზკულტურისა და სპორტის უდიდეს პოპულარობას საბჭოთა ქვეყანაში.

საქპოლიგრაფმრეწველობა

# ჩემპიონის აზრით...

ინტერვიუ

მთაწმინდის უბანში მეუღლის ბებიის ნ. კახეთელიძის ოჯახში შევხვდი ქალთა შორის ჭადრაკში სსრ კავშირის ახალ ჩემპიონს ელენა ფატალიბეკოვას. ჩვენს საუბარს მისი ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ, ანცობდა ჩემპიონის გოგონა, პატარა კირა, დედას ლაპარაკს არ აცლიდა.

თავიდანვე შევთანხმდით, რომ ვისაუბრებდით თბილისში დამთავრებული ქალთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის ფინალის შესახებ. რა თქმა უნდა, საჭადრაკო ცხოვრების სხვა ამბებსაც შევეხეთ.

თ. გიორგაძე.

● ბევრს ეუცხოვა მანამდე უცნობი გვარის მოჭადრაკის თვალსაჩინო წარმატება. მათ არ იცოდნენ, რომ ფატალიბეკოვას გვარით თქვენ, საერთაშორისო ოსტატი ლენა რუბცოვა თამაშობდით.

— მესამე წელია გათხოვილი ვარ და არსად მითამაშია, სანამ ბავშვი არ წამოიჩიტა. ჩემი მომავალი მეუღლე ალექსანდრე ფატალიბეკოვი თბილისში გავიცანი 1964 წელს ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დროს. მაშინ იგი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა, მერე ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია დაამთავრა, მოსკოვში დასახლდა და ოჯახიც შევქმენით. ახლა ჩემი მეუღლე ცენტრალური ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციაში მუშაობს. რა თქმა უნდა, ჭადრაკი უყვარს და ძალიანაც მიწყობს ხელს.

● ალბათ მისი დამსახურებაც არის, რომ წლეულს ზედიზედ ოთხი პირველი ადგილი დაიკავეთ, როგორც „ბურევესტნიკის" წევრმა მოსკოვისა და საკავშირო გუნდურ პირველობებში, მოსკოვის ჩემპიონატში, ახლა კი საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელიც დაისაკუთრეთ. ამ წარმატებების შემდეგ ალბათ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტის სახელზეც ოცნებობთ.

— ჯერ მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ თამაში გავაუმჯობესო, გავიმდიდრო სადებიუტო რეპერტუარი. 1975 წლის საკავშირო ჩემპიონატი მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის მნიშვნელობისა იქნება. აი, სწორედ ამ შეჯიბრებაში უნდა ვითამაშო კარგად, რომ პირველ სამეულში მოვხვდე, რაც საზონათშორისო ტურნირის საგზურს მომიტანს.

● რა აზრისა ხართ პრეტენდენტთა: ალექსანდრია — ლევიტინას ფინალური მატჩის შესახებ, რომელიც 15 დეკემბერს მოსკოვში დაიწყება.

— კოლუმბიის ოლიმპიადის შემდეგ მეტოქენი ძალის მხრივ ალბათ გათანაბრდნენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ისინი შეჯიბრებამ დაღალა, მოსამზადებელი და დასასვენებელი დრო ცოტა დარჩათ. ეს დრო ნანას უფრო სჭირდება. თუ ალექსანდრიამ დაღლილობა დაძლია, მაშინ, ჩემი აზრით, მას გამარჯვების მეტი შანსი აქვს.

● თქვენი თამაშით კმაყოფილი ხართ?

— რა თქმა უნდა. ესოდენ დიდი გამარჯვება პირველად მოვიპოვე. რაც შეეხება თამაშის შემოქმედებითს მხარეს, ზოგი პარტია არ მომწონს. მაგალითად, შულთან პარტიაში ორი ისეთი შეცდომა დავუშვი, რომ მათი გახსენება ახლაც გულს მტკენს. როგორც ჩანს, სტარტზე ზედიზედ რვა მოგებამ დამღალა და ყურადღება მომიდუნა. ფინიშზე, რამდენიმე ყაიმის შემდეგ, საკუთარი ძალა კვლავ ვიგრძენი.

● როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე მეტოქეთა თამაშმა?

— ქალთა ტურნირში თამაში ახლა უფრო ძნელია, ვიდრე ათი წლის წინათ. საგრძნობლად ამაღლდა მოჭადრაკე ქალთა თამაშის კლასი, საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა ძალები უფრო თანაბარია. ამიტომ ყოველი შეხვედრა დიდ ჯაფას, მოთმინებასა და დაკვირვებას მოითხოვს. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგალითად, პოპოვა — გრინფელდის, მოროზოვა — ჩიბურდანიძისა და ჩიბურდანიძე — კოზლოვსკაიას პარტიებმა. აქვე მინდა აღვნიშნო: ჩემპიონატი კიდევ უფრო მიმზიდველი იქნებოდა, ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიასა და ირინა ლევიტინასაც რომ ეთამაშათ. საჭიროა ჩემპიონატის ფინალი ისე იგეგმებოდეს, რომ ყველა უძლიერეს ოსტატს შეეძლოს მონაწილეობა. სამწუხაროდ, ეს საკითხი წლების მანძილზე მოუგვარებელია.



● გვითხარით თქვენი აზრი ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორების შესახებ.

— მარტა შული ჩემპიონატებში სტაბილურად თამაშობს. შარშანწინ ჩემპიონი იყო, შარშან და წლეულს ვერცხლის მედლები მოიპოვა. ასე მხოლოდ მაღალი კლასის მოჭადრაკეს შეუძლია ითამაშოს. მარტას მტკიცე ხასიათი და ნებისყოფა აქვს. რაც მთავარია, წაგებას მტკივნეულად არ განიცდის.

ჩემი აზრით, კოზლოვსკაია დაღლილი იყო. ალბათ გახსოვთ, ლევიტინასთან პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში იგი სამჯერ დაწინაურდა. ლევიტინამ ანგარიში სამივეჯერ გაუთანაბრა და ბოლოს მოუგო კიდეც. გალია თითქოს დეპრესიულ მდგომარეობაში იყო, თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ თავისი ჭეშმარიტი ძალა რამდენიმე პარტიაში მაინც გამოავლინა.

● რას იტყვით ქართველი მოჭადრაკეების თამაშზე?

— უდავოდ ნიჭიერი, მზარდი მოჭადრაკეა მაია ჩიბურდანიძე. იგი განსაკუთრებით ძლიერია ტაქტიკაში, თუ მუყაითად განაგრძო შრომა ჭადრაკის საიდუმლოებათა შესასწავლად, მერწმუნეთ, სამი წლის შემდეგ ძალიან ძლიერი მოჭადრაკე იქნება. ჩემი აზრით, იგი ძალიან დატვირთულია შეჯიბრებებში მონაწილეობით. ჭადრაკმა სიხარული უნდა მოგანიჭოს. მე კი, მაგალითად, მოსკოვში ქალთა საკავშირო თასის ფინალურ მატჩში მაიას ამ სიხარულს ვერ ვამჩნევდი.

ცირური კობაიძე ნიჭიერი, დაფიქრებული მოჭადრაკეა. იგი ჭადრაკს სერიოზულად ეკიდება, ოღონდ ზოგჯერ ზედმეტად ფრთხილობს, გაუბედავიცაა. მაგრამ შრომა უყვარს. ამის მაგალითად ისიც კმარა, რომ ჩემპიონატის დღეებში ცირურიმ ასპირანტურაში მისაღები გამოცდები ჩააბარა. ჩემი აზრით, მომავალში იგი მეტ წარმატებებს მოიპოვებს.

თამარ ხუგაშვილი, დაფასთან რომ ზის, გვონია არ ღელავს. სინამდვილეში იგი დიდი შინაგანი წვით, აღტყინებით იბრძვის, მაგრამ უთანაბროდ თამაშობს. ნახევარფინალში თამარმა საუცხოო ბრძოლის უნარი გამოავლინა, რაც იმის დასტურია, რომ მას შეუძლია გამარჯვებასაც მიაღწიოს. თამარი, როგორც ჩანს, მტკივნეულად განიცდის დამარცხებას,

● ტურნირის ორგანიზაციაზე რას იტყვით?

— თამაშისთვის საუცხოო პირობები გვქონდა. ჭადრაკის სასახლე ჩინებულია. ორგანიზატორები, მსაჯთა კოლეგია ზრუნვას არ გვაკლებდნენ. მაყურებელიც საკმაოდ გვყავდა. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

● რამ განაპირობა თქვენი წარმატება?

— თბილისში, მეუღლის ოჯახში, ისე გულთბილად შემხვდნენ, ისე მიწყობდნენ ხელს, რომ მსურდა მადლობის ნიშნად ტურნირში თავი მესახელებინა. ჩემი მასპინძლები კმაყოფილი იყვნენ და ეს მამხნევებდა, მეუღლე, თუმცა მხოლოდ მეორე თანრიგის მოთამაშეა, ჩემი ოფიციალური მწვრთნელი გახლდათ. იგი ძალიან დამეხმარა გადადებული პარტიების ანალიზში რჩევა-დარიგებით...

● რამდენადაც ვიცი, თქვენ ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჭადრაკის ლაბორატორიაში მუშაობთ.

— დიახ. მოსკოვის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობ ჭადრაკის ლაბორატორიაში საერთაშორისო ოსტატ ვლადიმერ ალატორცევთან. ჩვენი ლაბორატორია კომპლექსურად სწავლობს დიდი მოჭადრაკეების ხასიათს და სათანადო რეკომენდაციებს იძლევა. მაგალითად, XXI საჭადრაკო ოლიმპიადისთვის საბჭოთა გუნდის შემადგენლობა ჩვენი რეკომენდაციის მიხედვით დაკომპლექტდა. ჩვენ გუნდში არ შევიყვანეთ პოლუგაევსკი, ვინაიდან კარპოვთან პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის წაგების შემდეგ იგი ტრავმირებულად მიგვაჩნდა. რეკომენდაცია გავუწიეთ კუზმინს და, როგორც იცით, მან შესანიშნავად ითამაშა.

● თავის დროზე ჭადრაკში დიდი წარმატებები მოიპოვა დედათქვენმა ოლგა რუბცოვამ. იგი იყო საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი, მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონი. ჭადრაკს ახლა თუ თამაშობს?

— დედა ამ ბოლო დროს ავადმყოფობს. შინ არის და კირას მოვლაში მეხმარება. მაგრამ ჭადრაკს თავს ვერ დაანებებს. შარშან მიწერ-მოწერით თამაშში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამჟამად მეორე ჩემპიონატში მონაწილეობს. რა თქმა უნდა, დიდი ინტერესით ადევნებს თვალს საჭადრაკო ცხოვრებას. მამაც ხომ ჭადრაკის ოსტატი მყავს. იგი ბოლო დრომდე მუშაობდა მწვრთნელად. ახლა პენსიონერია.

● ტრადიციული კითხვა: თქვენი გეგმები?

— მზადება ახალი ტურნირებისთვის. პირველ ყოვლისა ნაკლოვანებების დაძლევა.

• • •

სურათზე: ე. ფატალიბეკოვას ოჯახი ჭადრაკის სასახლის აივანზე.

გ. შეყილაძის ფოტო.

# როგორ არის საქმე, გაბი?

გაბი ჩვენ ყველას გვახსოვს. ყველას, ვისაც ფიგურული ციგურაობა გვიყვარს. ჩვენ მას ვხედავდით ტელეეკრანებზე თუ ლუჟნიკის სპორტის სასახლეში — მხიარულს, ტემპერამენტიანს, სულ ნორჩს, აღტაცებული ვიყავით მისი მოხდენილობით, მოძრაობის სილამაზით, არაჩვეულებრივი მუსიკალურობით. ასეთი გვახსოვს იგი, ეს გასაოცარი ფიგურისტი, რომელმაც ჩემპიონის გვირგვინი მოიპოვა.



— ახლა როგორ ცხოვრობ, გაბი?

აი, ეს ვკითხე გაბი ზაიფერტს კარლ-მარქს-შტადტში, სადაც იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობს.

— ძალიან კარგად, — ღიმილით მიპასუხა მან. — ხუთი თვის გოგონა მყავს.

რა თქმა უნდა, პატარას დიდი ყურადღება სჭირდება და სპორტისთვის გაბის ძალიან ცოტა დრო რჩება. მაგრამ მაინც, ძნელია დაიჯერო, რომ ჩემპიონის გვირგვინი გაბის მხოლოდ მოსაგონრად დარჩება...

— მე ვცადე მწვრთნელად მემუშავა, — ამბობს გაბი. — ეს გაგრძელდა ორ წელიწადს მას შემდეგ, რაც ლაიპციგის უნივერსიტეტი დავამთავრე. ჩემი თავის მიმართ მუდამ მკაცრი და შეუბრალებელი ვიყავი, მაგრამ სხვებთან ასევე როგორ მოვქცეულიყავი? და მეც თავი დავანებე ამ სამუშაოს.

— სპორტი? თქვენ დაივიწყეთ სპორტი?

— ოჰ, არა! ვვარჯიშობ თხილამურებით სრიალში, ჩოგბურთში და, რა თქმა უნდა, ფიგურულ ციგურაობაში... ისე, ჩემთვის.

— თქვენზე ამბობენ, სიმღერამ გაიტაცაო. მართალია?

— გადაჭარბებული ლაპარაკია. მე მიყვარს სიმღერა, მაგრამ პროფესიულად ძალა არ მიცდია. მუსიკა კი სერიოზული მიყვარს. ოღონდ ფიგურულ ციგურაობაში საჭიროა ამ მუსიკის გონივრულად გამოყენება. მაგალითად, უმცროსი ასაკის ფიგურისტებისთვის, ჩემი აზრით, მსუბუქი მუსიკა უფრო შესაფერია. უფრო სერიოზული მუსიკისთვის კი მომზადებაა საჭირო...

— მალე ფიგურისტთა მთავარი შეჯიბრებები დაიწყება. რას ფიქრობთ ამის შესახებ? როგორია გდრ-ის სპორტსმენთა პერსპექტივები?

— მე დიდი იმედი მაქვს იან ჰოფმანისა და, რასაკვირველია, კრისტინა ერატისა. კრისტინა ახლა ძალიან მომწონს. მაგრამ ერთ ადგილზე გაყინვა არ შეიძლება. მან შემდგომშიც უნდა განივითაროს სპორტული ფორმა. ვაჟთა ოსტატობის დონე რთულდება, ქალებმა კი ის უნდა გააუმჯობესონ, რასაც უკვე მიაღწიეს.

მე ძალიან მომწონს საბჭოთა სპორტსმენების როდნინას და ზაიცევის დუეტი. აქვე უნდა გითხრათ, რომ განსაკუთრებით აღტაცებული ვარ ზაიცევით, რომელმაც მოკლე ხნის მანძილზე მიაღწია შესრულების მსოფლიო დონეს. იგი ხომ მსოფლიო ჩემპიონის მეწყვილე აღმოჩნდა. რაოდენ ძნელი იყო ზაიცევისთვის დაძლევა ფსიქოლოგიური ზღუდისა, რომელიც მას როდნინას დონეს აშორებდა! მაგრამ მან შეძლო ეს, რისთვისაც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

— რას ელით მომავალი ჩემპიონატებისგან?

— რასაკვირველია, მინდა გამოჩნდეს ახალი სახელები, იყოს ახალი მიღწევები. ეჭვი არ მეპარება საბჭოთა ოსტატების წარმატებაში და ძალიან მინდა, რომ ახალი სიტყვა ახალგაზრდობამ თქვას.

— სტანდარტული შეკითხვა: რა გეგმები გაქვთ?

— გეგმები მაქვს, რა თქმა უნდა. ოღონდ არ მინდა მათს შესახებ ხმამაღლა ვილაპარაკო. მხოლოდ ის შემიძლია მტკიცედ ვთქვა, რომ არ ვაპირებ ფიგურულ ციგურაობას თავი დავანებო. გდრ-ის ტელევიზიამ წინადადებებით მომმართა, მაგრამ რა გამოვა აქედან, ჯერჯერობით არ ვიცი...

ძალიან მიხარია, რომ 1980 წლის ოლიმპიადა მოსკოვში ჩატარდება. ეს დიდებულია. კარგად ვიცი, სპორტის განვითარების რა მდიდარი შესაძლებლობები არსებობს თქვენში. ჩემთვის მუდამ სასიამოვნო იყო თქვენს ქვეყანაში ყოფნა. დღესაც ძალიან ბევრი წერილი მომდის საბჭოთა კავშირიდან. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გულწრფელი სალამი გადავცე ყველას, ვინც წარმატებას მისურვებდა.

მე ოთხი წლიდან დავიწყე ფიგურულ ციგურაობაში ვარჯიში და მას შემდეგ მკაცრ რეჟიმს ვიცავ. დილის ექვს საათზე ადგომა, შვიდიდან — საწვრთნელი მეცადინეობა. იმედი მაქვს, ჩემგან ჩემს შვილსაც გადაეცემა სპორტის სიყვარული. შეიძლება მე მისი პირველი მწვრთნელი ვიყო.

ვეთხოვებით გაბის.

მე, რა თქმა უნდა, სამახსოვროდ სურათი გადავუღე მას.

ვ. ხალკოვი.

(„ტრუდის" სპეც. კორ.).

მოსკოვი — კარლ-მარქს-შტადტი.

# ტრიუმფით!..

6 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში ტურნე დაიწყო საბჭოთა სპორტსმენთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც არიან: ტანმოვარჯიშეები ო. კორბუტი, რ. სიხარულიძე, ნ. დრონოვა, ნ. კიმი, ე. საადი, ნ. ანდრიანოვი, ვ. კლიმენკო, ვ. მარჩენკო, პ. შამუგია, ა. მალეევი, ე. მიქაელიანი; მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები გ. შუგუროვა, გ. შაფიროვა და ლ. ევტუშენკო, აკრობატთა წყვილი — ცოლ-ქმარი გ. და ი. საველიევები.

15 ნოემბერს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" შეკრებილი 20 ათასი ამერიკელისთვის ნამდვილ ზეიმად იქცა საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა გუნდის გამოსვლა. აშშ-ს ტანვარჯიშის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ამ ღონისძიების ბილეთები საბჭოთა სპორტსმენთა ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდა. საბჭოთა „სპორტული ვარსკვლავების" (როგორც აქ უძახიან ჩვენს გუნდს) ოსტატობის სანახავად თავი მოიყარა უამრავმა ხალხმა არა მარტო ნიუ იორკიდან, არამედ მეზობელი ქალაქებიდან და შტატებიდან.

გუნდის ოფიციალური წარდგენის შემდეგ აღიმართა საბჭოთა ქვეყნისა და ამერიკის დროშები, შესრულდა ორივე სახელმწიფოს ჰიმნები. მაყურებლები აღფრთოვანა საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ყველა გამოსვლამ: ხშირად თვით კომბინაციების შესრულების დროსაც კი მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა.

ამერიკელ ტანვარჯიშის მოყვარულებს სხვა დროსაც უნახავთ საბჭოთა სპორტსმენთა გამოსვლები. ამ ორ ქვეყანას შორის კულტურული და სპორტული კავშირის გაძლიერებასთან ერთად ბოლო წლებში საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ვიზიტები ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის რეგულარული გახდა. ბევრი ამერიკელი საუცხოო ცნობით იცნობს ჩვენს გამოჩენილ ტანმოვარჯიშეებს: ამ ორი წლის წინათ ხომ ოლგა კორბუტმა ნამდვილი „ტანვარჯიშული რევოლუცია" მოახდინა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი გამოსვლის შემდეგ ამერიკაში სამჯერ გაიზარდა ტანვარჯიშის ცილდევარ გოგონათა რიცხვი. ტანვარჯიშის ადგილობრივი ფედერაცია ახლაც ყოველდღიურად 60-მდე წერილს ღებულობს ნორჩი ამერიკელი გოგონებისგან, რომლებსაც სურთ „მეორე კორბუტი" გახდნენ და დახმარებას ითხოვენ.

... კორბუტის გამოსვლის შემდეგ დარბაზში დიდხანს არ ცხრებოდა ოვაციები და შეძახილები.

მაყურებლები ძალიან გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა გუნდის სხვა წევრებსაც.

აშშ-ს ტანვარჯიშის ფედერაციის წარმომადგენელმა, რომელიც შეხვედრის დროს სიტყვით გამოვიდა, ამ ვიზიტს უწოდა „ღირსშესანიშნავი მოვლენა" შეერთებული შტატების სპორტულ ცხოვრებაში, რომელიც დადებითს წვლილს შეიტანს ამ ორი ქვეყნის ხალხთა შორის კავშირის განმტკიცებაში.

ტურნე 24 ნოემბერს დამთავრდება. ნოემბრის ბოლოს განზრახულია ჩატარდეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ტურნე ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

ა. ბოზიკოვი.

(საკუთარი კორ.).

ნიუ იორკი.

ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ჩემპიონატზე



ქვეყნის მსოფლიო ჩემპიონი სპრინტში დანიელ მორელონი (საფრანგეთი) მონრეალში დამარცხების შემდეგ ესაუბრება ამავე სახეობაში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორს, 19 წლის ამერიკელ ველოსიპედისტს სიუ ნოვარას.



გზატკეცილზე ჯგუფურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მომენტი. უცი-ს ერთ-ერთი კომისარი, მექსიკელი ნოე რამირეს ერნანდესი ყურადღებით ადევნებს თვალს რბოლას.



გზატკეცილზე ჯგუფურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა 22 წლის პოლონელმა ველოსიპედისტმა იანუშ კოვალსკიმ.



ფრანგმა ჟენევიევა გამბიიონმა, პარიზელმა მედდამ, მეორედ მოიხვეჭა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული საგზატკეცილო ჯგუფურ რბოლაში.



კვარცხლბეკისკენ მიაქვთ მედლები პრიზიორთა დასაჯილდოებლად.

მ. ბარამიას ტექსტი და ფოტოები.

მონრეალი.

---

**• KORANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •**

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

### ინგლისი

გათამაშების XVII ტურში კვლავ წარუმატებლად, ითამაშა ლიდერმა „ლივერპულმა". ამჯერად მან შინ წააგო (1:3) ერთ-ერთ აუტსაიდერთან — ლონდონის „არსენალთან", რომელმაც ბოლო ტურებში თვალსაჩინოდ გამოასწორა თამაში (წინა ტურში მან თავის სტადიონზე ფრედ — 0:0 — დაამთავრა შეხვედრა „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან").

„მანჩესტერ სიტიმ" შინ მოუგო „სტოკ სიტის" — 1:0. გამარჯვებულმა ლიდერობა იგდო ხელთ.

ლივერპულის „ევერტონმა" ლონდონში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „ტოტენჰემ ჰოტსპურთან" — 1:1. „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა" თავის მინდორზე აჯობა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს „იფსვიჩ თაუნს" — 2:1.

ლიდერთა სამეული:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მანჩეს. სიტი" | 17 | 9 | 4 | 4 | 21:18 | 22 |
| „ლივერპული" | 16 | 10 | 1 | 5 | 23:12 | 21 |
| „ევერტონი" | 17 | 5 | 11 | 1 | 23:18 | 21 |

მეორე ლიგაში კვლავ ლიდერობს „მანჩესტერ იუნაიტედი": მას 17 თამაშიდან 27 ქულა და ბურთების ჩინებული შეფარდება (29:8) აქვს. II ადგილზე მყოფ „ნორვიჩ სიტის" ლიდერი 5 ქულით უსწრებს.

### შოტლანდია

ეროვნული პირველობის მორიგ, XI ტურში „გლაზგო რეინჯერსმა" თავის მინდორზე დაამარცხა „დანდი" (1:0) და კიდევ უფრო განიმტკიცა მოწინავე პოზიცია.

გლაზგოს „სელტიკი" დანდიში შეხვდა ადგილობრივ „დანდი იუნაიტედს". ამ მატჩში ანგარიში არ გახსნილა—0:0. „აბერდინმა" თავის სტადიონზე ვერ შეძლო გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერის „პარტიკ თისლის" წინააღმდეგობის დაძლევა — 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი" | 11 | 9 | 2 | 0 | 30:10 | 20 |
| „სელტიკი" | 11 | 9 | 1 | 1 | 29:10 | 19 |
| „აბერდინი" | 11 | 7 | 1 | 3 | 23:11 | 15 |

### შვეცია

დამთავრდა ეროვნული პირველობა. ჩემპიონი გათამაშების დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. ეს გახლავთ „მალმიო", რომელმაც ბოლო ტურში თავის სტადიონზე ფრედ (0:0) ითამაშა სტოკჰოლმის „იურგორდენთან". „მალმიომ" 9 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ სტოკჰოლმის აიკ-ს.

ვეკშეს „ესტერმა" ბოლო ტურში სტუმრად დიდი ანგარიშით (5:2) სძლია „ერებრუს" და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა.

გათამაშების საბოლოო ცხრილი ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მალმიო" | 26 | 48:15 | 43 |
| აიკ-ი | 26 | 40:28 | 34 |
| „ესტერი" | 26 | 55:26 | 33 |
| გაის-ი (გიოტებორგი) | 26 | 44:40 | 29 |
| „ატვიდაბერგი" | 26 | 48:40 | 27 |
| „ელფსბორგი" (ბუროსი) | 26 | 55:43 | 26 |
| ბის-ი (ლანდსკრუნა) | 26 | 43:36 | 26 |
| „იურგორდენი" | 26 | 44:38 | 26 |
| „ჰამარბიუ" (სტოკჰოლმი) | 26 | 37:44 | 25 |
| „ერებრუ" | 26 | 42:50 | 23 |
| „ჰალმსტადი" | 26 | 28:38 | 23 |
| „ნორჩიოპინგი" | 26 | 39:60 | 21 |
| „სირიუსი" (უპსალა) | 26 | 28:57 | 16 |
| „ბრიუნესი" (ევლე) | 26 | 27:63 | 12 |

### ნორვეგია

ქვეყნის ჩემპიონი აქაც გამოვლინდა, მაგრამ შვეციის ჩემპიონატისგან განსხვავებით, გამარჯვებულმა ვერცხლის პრიზიორს მხოლოდ ქულით გაუსწრო. თანაც, II ადგილზე გასულ „მოლდეს" ბოლო ტურში მოგებით შეეძლო ჩემპიონობის მოპოვება, მაგრამ იგი მოულოდნელად გაანადგურა ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა „სარპსბორგმა" — 6:1.

ჩემპიონმა — სტავანგერის „ვიკინგმა" დასკვნითს ტურში ფრედ (0:0) ითამაშა „სტრიომგოდსეტთან".

III ადგილზე გავიდა „ვალერენგენი" (სხვათა შორის, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები I ლიგის დებიუტანტები არიან).

საბოლოო ცხრილი:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვიკინგი" | 22 | 31:10 | 31 |
| „მოლდე" | 22 | 40:18 | 30 |
| „ვალერენგენი" | 22 | 33:25 | 28 |
| „ბრანი" (ბერგენი) | 22 | 36:20 | 27 |
| „სტრიომგოდსეტი" | 22 | 38:28 | 27 |
| „სკეიდი" (ოსლო) | 22 | 30:26 | 25 |
| „სტარტი" (კრისტიანსანი) | 22 | 37:31 | 24 |
| „რუსენბორგი" | 22 | 39:31 | 23 |
| „მიენდალენი" | 22 | 29:37 | 17 |
| „ჰამარკამრატერნა" | 22 | 21:47 | 15 |
| „სარპსბორგი" | 22 | 21:47 | 11 |
| „რაუფოსი" | 22 | 16:51 | 6 |

**საკუთარი ინფორმაცია**

## შვეიცარიის ნაკრების წარმატება

ბერნი, 13 ნოემბერი. შვეიცარიის ნაკრებმა თავის მინდორზე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ანგარიშით 3:0 სძლია პორტუგალიის ეროვნულ გუნდს.

მასპინძლებმა საუცხოოდ ითამაშეს. მათ შესვენებამდე წარმატებით გამოიყენეს თავიანთი ტერიტორიული უპირატესობა და ორჯერ აიღეს სტუმრების კარი. მეორე ტაიმში შვეიცარიის ნაკრებმა კიდევ ერთი გოლით გაზარდა ანგარიში და გაიმარჯვა — 3:0.

როგორც ცნობილია, შვეიცარიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის იმ შესარჩევ ჯგუფშია, რომელშიც სსრ კავშირის, ირლანდიისა და თურქეთის გუნდები არიან.

## მერვედფინალში „აიაქსი" გავიდა

*13 ნოემბერს ანტვერპენში გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიის ცნობილი გუნდი — ადგილობრივი „ანტვერპენი" და ამსტერდამის „აიაქსი". ჰოლანდიელებს პირველი თამაში შინ მინიმალური ანგარიშით (1:0) ჰქონდათ მოგებული და ამიტომ ბელგიელი ფეხბურთელები განმეორებითს შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მათ მართლაც შეძლეს ძლიერი მეტოქის დამარცხება, მაგრამ...*

*შესვენებაზე გუნდები წავიდნენ მაშინ, როცა ტაბლოზე ორი ერთიანი იყო გამოსახული. ეს შედეგი თითქმის მატჩის მიწურულამდე შემორჩა ტაბლოს, მაგრამ „აიაქსმა" ვერ გაუძლო მასპინძელთა გამუდმებულ იერიშებს და დამარცხდა — 1:2. ცხადია, ეს უკმარი აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისთვის და მერვედფინალში „აიაქსი" გავიდა.*

*როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, „აიაქსის" მეტოქე მერვედფინალში წილისყრის მიხედვით ტურინის „იუვენტუსი" გახლავთ.*

*უნდა აღინიშნოს ჰოლანდიური კლუბების წარმატება თასის გათამაშებაში. უეფა-ს პრიზისთვის ბრძოლის შემდგომ ეტაპზე „აიაქსის" გარდა ენსხედეს „ტვენტე" და „ფკ ამსტერდამი" თამაშობენ. ამრიგად, ჰოლანდიელი ფეხბურთელები ამ ცხრივ II ადგილზე არიან. I ადგილი კი უკავიათ გფრ-ის წარმომადგენლებს: ამ ქვეყნიდან უეფა-ს თასის გათამაშების მესამე ეტაპზე ოთხივე გუნდი გამოდის.*

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი** აცხადებს ასპირანტურაში მიღებას ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის თეორიისა და მეთოდიკის სპეციალობით სპორტის რომელიმე სახეობაში — ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში ან კრივში.

წარმოებისგან მოწყვეტით — 1 ადგილი,

წარმოებისგან მოუწყვეტლივ — 1 ადგილი.

განცხადების (სათანადო დოკუმენტაციით) წარმოდგენის ბოლო ვადაა 1974 წლის 5 დეკემბერი.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53; ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.